ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #24
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ქუთაისი 6.03.2019წ.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №23 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნესტან სიხარულიძის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „რაპაკა" -ის დირექტორის კახაბერ გვეტაძე ს/კ 412704505 სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლის გარეთა აბრის, საკლასო ოთახების აბრების, სპეც-საჭიროების ოთახის ბანერ-სტიკერების და ბიბლიოთეკისათვის ბანერ-სტიკერების დამზადება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
CVP-22458000

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება
2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 350 (სამასორმოცდაათი) ლარს და 00 თეთრს.
2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშწორება
3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.1 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლოობაში.

მუხლი 4. საქონლის მიღების ადგილი და ვადა
4.1 საქონლის მიღების ადგილია ქ.ქუთაისი დ. არაყიშვილი 15.
4.2 მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება 2019 წლის 6 მარტიდან 2019 წლის 25 მარტის ჩათვლით

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები
დამკვეთი ვალდებულია:
5.1 შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;
. შემსრულებელი ვალდებულია:
5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია:
3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

5.5 შემსრულებელი უფლებამოსილია:
მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 6. პირგასამტეხლო
6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

7.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

7.3 მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

7.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1 მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 6 მარტიდან და მოქმედებს 2019 წლის 25 აპრილის ჩათვლით

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
სსიპ ქალაქ ქუთაისის №23 -ე საჯარო სკოლა	შპს ,,რაპაკა“
მის. დ.არაყიშვილის I №15 ტელ. 0431272928 ს/კ 212706080 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE60LB012115635795000	მისამართი:ქ. ქუთაისი,წერეთლის და ჯიბლაძის 35/2 ტელეფონი:555787787 საიდენტიფიკაციო კოდი: 412704505 საბანკო რეკვიზიტები: სს "პროკრედიტ“ ბანკი ა/ა GE54PC0013600100045900
დირექტორი ნესტან სიხარულიძე _____ (ხელმოწერა)	**დირექტორი კახაბერ გვეტაძე** _____ (ხელმოწერა)
ბ.ა	ბ.ა